9:39

5658066 სარჩელი.pdf

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ს 1746-21

"31" 12 2021 წ

დადგენილება №001612
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

31.12.2021წ. ქ. თბილისი, ჯ.შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე 2021 წლის 11 აგვისტოს №001612 მითითება და 2021 წლის 3 სექტემბრის №001612 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "ლამა"-ს (ს/ნ: 406049636 მის: ქ. თბილისი, სამგორი რ-ნი, მოსკოვის გამზ. V კვ. კორპ. №1-ის მიმდებარედ) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი, V კვარტალი, №45ა, №01.19.35.004.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებულია შენობის მოხოლოდთური კარკასის (მოხოლოდთური საძირკველი, მოხოლოდთური კოლონები, სამშენებლო ქარგილები) მშენებლობა და სამშენებლო ღობის მოწყობა. ამასთან, შენობის მოხოლოდთური კარკასი და სამშენებლო ღობე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს მიწაზე.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2021 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად შედგენილ იქნა №001612 მითითება, რომლითაც სამშენებლო სამართალდამრღვევს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენად ან უსაფრთხოების წესების დაცვით ობიექტების (შენობის მოხოლოდთური კარკასი და სამშენებლო ღობე) დემონტაჟის განსახორციელებლად.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ 2021 წლის 3 სექტემბერს შედგენილ იქნა №001612 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2021 წლის 26 ოქტომბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. სხდომის შესახებ მხარეს ეცნობა კანონით დადგენილი წესით.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სხდომაზე გამოცხადდა მხარე, შ.პ.ს. "ლამა"-ს დირექტორი, მოქ. ლევან დევნოზაშვილი (პ/ნ:15001000042), და მოქ. არამია ტერ-კაზარიანი (პ/ნ: 01027021350). მხარემ დაადასტურა მითითების და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ უნებართვო სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია მოქ. ერემია ტერ-კაზარიანის მიერ. მოქ. ერემია ტერ-კაზარიანმა დაადასტურა, რომ უნებართვო სამშენებლო სამუშაოების განხორციელებულია მის მიერ. მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების გასწორების მიზნით, მხარემ ითხოვა დამატებითი ორთვიანი ვადა.

2021 წლის 15 ოქტომბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ჩატარდა საქმის განხილვის განმეორებითი სხდომა. სხდომის შესახებ მხარეს ეცნობა კანონით დადგენილი წესით. სხდომაზე გამოცხადდა მხარე, შ.პ.ს. "ლამა"-ს დირექტორი მოქ. ლევან დევნოზაშვილი (პ/ნ:15001000042), რომელსაც განემარტა სამშენებლო სამართალდარღვევაზე მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მოხოლითური კარკასის მიმართ შ.პ.ს. "ლამა"-ს აქვს სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, რის გამოც აპირებს სამართალდარღვევის აღმოფხვრას. აღნიშნულის მიზნით ითხოვა წარმოების მაქსიმალური ვადა. მისივე განცხადებით, მიმართული აქვს შესაბამისი სამსახურისთვის, მიწის ნაკვეთის შესყიდვის მოთხოვნით, რათა შენობა-ნაგებობა მოექცეს სრულად შ.პ.ს "ლამა"-ს წითელ ხაზებში.

საქმეშია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის 2021 წლის 03 ნოემბრის №4-3193-გ/21 ბრძანება, რომლითაც სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების მიღების ვადა გაგრძელებულ იქნა ორი თვით, 2021 წლის 3 ნოემბრიდან - 2021 წლის 3 იანვრის ჩათვლით.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ 2021 წლის 31 დეკემბერს ობიექტის განმეობით გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ შ.პ.ს. "ლამა" -ს მიერ არ არის შესრულებული მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 11 აგვისტოს №001661 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ლამა"ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი, V კვარტალი, №45ა, №01.19.35.004.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებულია შენობის მოხოლითური კარკასის (მოხოლითური საძირკველი, მოხოლითური კოლონები, სამშენებლო ქარგილები) მშენებლობა და სამშენებლო ღობის მოწყობა. ამასთან, შენობის მოხოლითური კარკასი და სამშენებლო ღობე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს მიწაზე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლით, 127-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით,

21

დავადგინე:

1. შ.პ.ს. **"ლამა"** დაჯარიმდეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარით ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი, V კვარტალი, №45ა, №01.19.35.004.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე შენობის მოხოლოდითური კარკასის (მოხოლოდითური საძირკველი, მოხოლოდითური კოლონები, სამშენებლო ქარგილები) მშენებლობისა და სამშენებლო ღობის მოწყობისათვის.

2. ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი, V კვარტალი, №45ა, №01.19.35.004.060 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დაეკვალოს, ამავე მისამართზე მდებარე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე აშენებული შენობის მოხოლოდითური კარკასისა (მოხოლოდითური საძირკველი, მოხოლოდითური კოლონები, სამშენებლო ქარგილები) და მოწყობილი სამშენებლო ღობის დემონტაჟი, რომელთა ნაწილიც გაცდენილია საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს მიწაზე;

3. შ.პ.ს. **"ლამა"**-ს დაეკვალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის I-ლი ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ლამა"-ს დაეკვალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში), სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუჩენრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული

ჯარიმდება თავდაბრუნებლად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული


საჯარიმო თანხის საშვიდე ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასახიერდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქ. N7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე



მამუკა ჯაფარიძე



საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე № 0

ID 589564773

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გადამხდელის დასახელება	შპს ლაშა	თანხა ციფრებით **25000.00 GEL**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი	**406049636**	
ანგარიშის ნომერი	**GE25PC0523600100001522**	თანხა სიტყვებით **ოცდახუთიათასი ლარი 00 თეთრი**
გადამხდელის ბანკის დასახელება	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი **MIBGGE22**	
სახელმწიფო ხაზინაში გადახდა - ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა		სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) ☐ სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე
დასახელება	შპს ლაშა	
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი	**406049636**	
მიმღების დასახელება	სხვა შემოსულობები/თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტი	ბანკის აღნიშვნები
ანგარიში / სახაზინო კოდი	**300773263**	
მიმღების ბანკის დასახელება	საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური მიმღების ბანკის კოდი **TRESGE22**	ბანკში შემოსვლის თარიღი 21.11.2023 07:58
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	ხელმოწერა - - - - - - - - - - - - - - - - - -
დამატებითი ინფორმაცია	დადგენილება #001612. 31/12//2021წ. 4-1/დ 1746-21	
ხელმოწერები -	ბეჭდის ადგილი	ინტერნეტ ბანკი პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank საქართველო INTERNET BANK
	თარიღი 21.11.2023	